ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #02/564

<u>გამარტივებული შესყიდვა</u>

ქ. თბილისი 22 დეკემბერი 2011 წელი

ერთის მხრივ,
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი არსოშვილის სახით,
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42,
საიდენტიფიკაციო კოდი: #204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა # 200122900;
(შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ
შპს „HOTSPOT.GE"
წარმოდგენილი დირექტორის თამარ ჩხეიძის სახით,
მის: ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. #32,
ტელ: 248-7777
საიდენტიფიკაციო კოდი: 404912136,
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი";
ბანკის კოდი: BAGAGE22;
IBAN: GE57TB0000000272562800
(შემდგომში "მიმწოდებელი")

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჭიროებისათვის, **კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების შესყიდვა.**

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია **ფასების ცხრილში-დანართი #1**, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3 CPV კოდი: 30200000- კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი.

2. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება და ანგარიშსწორება.**

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს - **3802,20 ლარს (სამი ათას რვაასორი ლარი და 20 თეთრი).**

2.3 მისაწოდებელი საქონლის ერთეულის რაოდენობა და ერთეულის ღირებულება მოცემულია **ფასების ცხრილში-დანართი #1,**

2.4 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

2.5 გადახდის ფორმა – უნაღდო.

2.6 დაფინანსების წყარო: 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

2.7 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.8 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე და სხვა დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები და ა.შ.) წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

2.9 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

3. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

3.1 საქონლის მიღებას აწარმოებს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის **უფროსი დავით მიქაძე.**

3.2 საქონლის მიღება ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. (ანგარიშფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების გამოწერით.)

4. **საქონლის მიწოდების პირობები და გარანტია**

4.1 მისაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს **ფასების ცხრილში - დანართი #1–ში** მოცემულ მახასიათებლებს.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს საქონლის მიწოდება საკუთარი ხარჯებით;

4.3 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ხარჯით მისამართზე: **ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42.**

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად, ნივთობრივად უნაკლო და ახალი საქონელი.

4.5 მისაწოდებელ საქონელზე ვრცელდება 1 **წლიანი** საგარანტიო ვადა.

5. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

5.1 შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 30 დღის განმავლობაში იტოვებს უფლებას განახორციელოს მიღებული საქონლის კონტროლი და/ან გამოცდა, რათა დარწმუნდეს მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან (ინსპექტირება).

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

5.3 იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ინსპექტირებისას გამოვლინდა ნაკლი ან/და დეფექტი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან 2 (ორი) დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლიანი საქონლის უნაკლოთი და ახლით შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ინსპექტირებისას არ გამოვლინდა საქონლის ნაკლი ან/და დეფექტი, შემსყიდველი ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, სადაც მიუთითებს უნაკლო საქონლის რაოდენობის შესახებ.

5.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს საქონლის მიღებას აწარმოებს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის **უფროსი დავით მიქაძე.**

6. **ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

6.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. **უფლებების გადაცემა**

7.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

8. **ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.3%-ს.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:

9.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

9.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

9.5 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.6 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

9.7 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 ეგზემპლიარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

13. შეტყობინება

13.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	**შპს „HOTSPOT.GE“**
გიორგი არსოშვილი	თამარ ჩხეიძე

ფასების ცხრილი

#	CPV კოდი	საქონლის დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	32323000	მონიტორი (TFT LED 19 philips 190v3LSB Black)	ცალი	4	227,00	**908,00**
2	30211500	სისტ.ბლოკი (Acer emachines ET1850 (PT NCBE9.053))	ცალი	3	710,00	**2130,00**
3	30237280	უწყვეტი კვების წყარო (UPS SVEN Pro+625VA black)	ცალი	3	125,44	**376,32**
4	30211500	ოპტიკური დისკ-წამყვანი (Samsung SH-222AB black)	ცალი	2	41,94	**83,88**
5	30233180	მეხსიერების ბარათი (FLASH 4GB Sandisk BLACKU/RED Cruzer Blade)	ცალი	19	16,00	**304,00**
						სულ ჯამი: 3802,20 ლარი დღგ-ს ჩათვლით

შენიშვნა: საქონლის ერთეულის ფასსა და საერთო ღირებულების შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობაენიჭება საქონლის ერთეულის ფასს.

შემსყიდველი:

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

_____ გიორგი არსოშვილი

მიმწოდებელი:

შპს „HOTSPOT.GE“

_____ თამარ ჩხეიძე

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული
დახმარების საკითხთა სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 22/12/11

მიმწოდებელი: შპს"HOTSPOT.GE"

ხელშეკრულების № 02/564

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლს "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები" ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ აღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ვიზირებულია:

გიორგი არსოშვილი _____

ამირან ჯეგისაშვილი _____

ლევან მაღლაკელიძე _____

დავით მიქაძე _____